საფეხბურთო ფრიადი მცველს

თბილისი. ვ. ი. ლენინის სახელობის “დინამოს” სტადიონი. 6 მაისი.

“დინამო” (თბილისი) – “ნეფთჩი” (ბაქო) 2:1.

“დინამო”: გაბელია, კეტაშვილი, მახარაძე, ჭედია, არზიანი, კაკილაშვილი, სვანაძე, სულაქველიძე, ცაავა, შენგელია, მესხი.

“ნეფთჩი”: ჩანოვი, ვაჰაბ–ზადე, ბელიალოვი, ბაზულევი, პანჩიკი, მიხაილევსკი, სადიხოვი, ქურიმოვი, პონომარიოვი, ახმედოვი, ჯავადოვი.

51–ე წთ. სულაქველიძე, 65–ე წთ. შენგელია, 83–ე წთ. პონომარიოვი.

მე–4– წთ. ქერიმოვის ნაცვლად – სულეიმანოვი, 46–ე წთ. ცაავას ნაცვლად ჩქარეული, 67–ე წთ. მესხის ნაცვლად – ფრიდონაშვილი, 69–ე წთ. სადიხოვის ნაცვლად – ჰუსეინოვი.

მსაჯი: ალექსეი სპირინი (მოსკოვი).

კარში დარტყმა – 17:10 (10:4), ზუსტი დარტყმა – 7:2 (3:1), საჯარიმო მოედნიდან – 9:3 (7:1).

დაჯარიმდნენ: თბილისელები 5 (3), ბაქოელები 3 (2).

დუბლიორები – 0:0.

საფეხბურთო ანგარიშებში მეტწილად კომბინაციების, საგოლე სიტუაციების აღწერა ჭარბობს და რადგან ასეა, ყურადღებაც ასე თუ ისე თავდამსხმელებზე და ნახევარმცველებზეა გამახვილებული. მცველებს შედარებით ნაკლებად ახსენებენ და თუ ახსენებენ, ძირითადად შეცდომის გამო. მატჩის რეცენზიაში იშვიათად ნახავთ წუთების ჩამოთვლას, როცა მცველმა კარგად ითამაშა. თუმცა გამონაკლისი აქაც არის: იმ შემთხვევებზე მოგახსენებთ, როცა გოლის ავტორი მცველია. სწორედ აქედან მინდა დავიწყო საუბარი გუშინდელ მატჩზეც…

მეორე ტაიმი ხუთიოდე წუთის დაწყებული იყო. სულაქველიძემ ბაქოელთა კარიდან საკმაოდ მოშორებით მიიღო ბურთი, წამით გათავისუფლდა მეტოქის მეურვეობისგან და ულამაზესი დარტყმით დააწინაურა თავისიანები.

ძნელი სათქმელია, როგორ წარიმართებოდა მატჩი თბილისელთა მცველის სოლო გოლი რომ არა, მაგრამ ერთი რამ ცხადზე ცხადია: ორმოცდამეთერთმეტე წუთამდე მასპინძელთა თამაში არამც და არამც არ ჰგავდა ჩემპიონატის ერთ–ერთი ლიდერის თამაშს. რა თქმა უნდა, “დინამოს” ჰქონდა გოლის გატანის რამდენიმე შესაძლებლობა, მაგრამ ეს ისეთი სიტუაციები იყო, როცა კომბინაციას ლოგიკურს, გნებავთ საინტერესოს ვერ დაარქმევდა კაცი.

შეიძლება არც იყოს საჭირო გამარჯვებულ გუნდზე ასე მკაცრად ლაპარაკი, მაგრამ ბოლო სამ მატჩში “დინამომ” საგრძნობლად უკლო თამაშს. ამას გულშემატკივარიც ამჩნევს, ფეხბურთელებიც შესანიშნავად გრძნობენ და უთქმელობა, ცხადია, საქმეს მხოლოდ ავნებს.

სხვათა შორის ერთი ფეხბურთელის ოსტატური თამაშის შედეგი იყო მეორე გოლიც. შენგელიას რეიდი და საბოლოო დარტყმა მართლაც ბრწყინვალე იყო. ასეთი გოლები ალამაზებს ფეხბურთს. ვინ ვინ და ქართველმა გულშემატკივარმა იცის მათი ფასი, მაგრამ სულაქველიძის, გნებავთ, შენგელიას სოლო გოლები მაინც იშვიათობაა ფეხბურთში და ვერც ერთი თანამედროვე გუნდი ამის იმედით ვერ იქნება. ვფიქრობ, ეს ყველაფერი დროებითი მოვლენაა, თუმცა სარეცენზიო მატჩში ყველაზე გულდასაწყვეტი მაინც ის არის, რომ ვერაფრით გამოიჩინეს თავი ახალგაზრდა და საკმაოდ ნიჭიერმა ფეხბურთელებმა – მესხმა და ცაავამ. არადა, როცა გუნდის

მომავალზე ვლაპარაკობთ, ძირითადად ხომ მათ და მათ თანატოლებს ვგულისხმობთ. ცხადია, უფრო სოლიდურ, მომწიფებულ თამაშს ველით კაკილაშვილისა და არზიანისგან. ისინიც კარგა ხანია აღარ ითვლებიან ახალბედებად.

მკითხველს აღარ შევაწყენ თავს საინტერესო სიტუაციების აღწერით. მოკლედ ვიტყვი, რომ აქტიურად თამაშობდა კეტაშვილი, რამდენჯერმე საკმაოდ სახიფათოდაც დაარტყა ბაქოელთა კარისკენ; გოლის გატანის ორი კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენა სვანაძემ, ბურთის გატანა შეეძლოთ ცაავას, შენგელიას, ჩქარეულს, მესხს. სახიფათო მომენტები "დინამოს" კართანაც იყო – მე–12, 47–ე, 49–ე და 70–ე წუთებზე. კომბინაციის დამამთავრებელ სტადიაში უზუსტოდ ითამაშეს პანჩიკმა, პონომარიოვმა, ჯავადოვმა და ახმედოვმა. 83–ე წუთზე თბილისელთა კარში დანიშნული თერთმეტმეტრიანი კი, რა თქმა უნდა, საკამათო იყო. თუმცა, მაინც ვიქონიოთ იმედი, რომ ამ შემთხვევაში შეხვედრის არბიტრი წმინდა საფეხბურთო კანონებით ხელმძღვანელობდა. და ბოლოს, მატჩზე საუბარი იმითვე მინდა დავამთავრო, რითაც დავიწყე.

მცველებზე მართლაც იშვიათად ლაპარაკობენ. თენგიზ სულაქველიძეზე კეთილი სიტყვის სათქმელად მარტო 52–ე და 53–ე წუთები იკმარებდა. არადა "დინამოს" სტოპერმა გუშინდელ, და არა მარტო გუშინდელ მატჩში, ბევრჯერ დაიმსახურა საფეხბურთო ფრიადი.

ირაკლი ბერიაშვილი.

ინტერვიუ მატჩის შემდეგ

დავით ყიფიანი, თბილისის "დინამოს" უფროსი მწვრთნელი: "ბაქოს "ნეფთჩის" წლეულს რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი შეემატა და ეს გარემოება გუნდს აშკარად დაეტყო. ვიაჩესლავ ჩანოვი, ბაზულევი, ბელიალოვი – თუ ამ მოთამაშეებს დავუმატებთ ადგილობრივ "ტრიოს" – პონომარიოვს, ჯავადოვსა და ახმედოვს, ნათელი გახდება, რომ ბაქოელთა დამარცხება არც ისე იოლი საქმეა. მით უმეტეს, როცა მოედანზე ლიდერის, ალექსანდრე ჩივაძის გარეშე გიხდება გამოსვლა. სასიამოვნოა, რომ ბიჭებმა მაინც შეძლეს მეტად საჭირო ორი ქულის მოპოვება, თუმცა მათი თამაშით კმაყოფილი ვარ–მეთქი, ვერ ვიტყვი. თუ ჩვენი გულშემატკივარი არ მიწყენს, აქვე ნება მომეცით, ორიოდე სიტყვა მათი მისამართით ვთქვა. ცხადია, სტადიონზე მისვლა უკვე თავისთავად ნიშნავს საყვარელი გუნდის ერთგულებას, მაგრამ მერწმუნეთ, დადუმებული ტრიბუნები ფეხბურთელებზე უარყოფითად მოქმედებს. ის კი არა, თამაშის წინ მოთელვაზე გამოსულ დინამოელებს მაყურებელთა ერთმა ნაწილმა სტვენა აუტეხა, რითაც ბოლო ორი მატჩის შედეგებით გამოწვეული უკმაყოფილება გამოხატა. ასეთი საქციელით ზოგიერთი ჩვენი გულშემატკივარი ცუდ სამსახურს გვიწევს. სტვენა გამიგია თამაშის დროს, ან მის შემდეგ, როცა გუნდი ცუდად ითამაშებს, მაგრამ წინასწარ, მატჩის დაწყებამდე მსგავსი მოქმედება, რბილად რომ ვთქვათ, უტაქტობაა".

რუსლან აბდულაევი, ბაქოს "ნეფთჩის" მწვრთნელი: "ჩვენმა მეტოქემ საკმაოდ კარგად ჩაატარა შეხვედრა და სავსებით დამსახურებულად გაიმარჯვა. მასპინძლებს კიდევ რამდენიმეჯერ ჰქონდათ გოლის გატანის შესაძლებლობა, თუმცა ასეთი შანსი ჩვენც არაერთხელ მოგვეცა. დინამოელები ალბათ კიდევ უკეთ ითამაშებდნენ, შემადგენლობაში ჩივაძე, რომ ჰყოლოდათ. უნდა გითხრათ ისიც, რომ

ფეხბურთელებისთვის უაღრესად სასიამოვნო და, ამავე დროს, საპასუხისმგებლოც იყო სავსე ტრიბუნების წინაშე ასპარეზობა. თუ თბილისელები უკვე მიეჩვივნენ კიდეც 80–ათასიან აუდიტორიას, ჩვენთვის ასეთი რამ იშვიათობაა. მაგალითად, ახალგაზრდა მცველი ვალერი პანჩიკი მოთელვაზე რომ გამოვიდა და ხალხით გაჭედილი ტრიბუნები დაინახა, გაოგნებულმა შესძახა, თავი მსოფლიო ჩემპიონატზე მგონიაო. ვუსურვებ თბილისის დინამოელებს, მუდამ ასეთი ხალხმრავალი აუდიტორია ჰყოლოდეთ, რაც უწინარეს ყოვლისა, მათი კარგი თამაშის მაჩვენებელი იქნება".

"ლელო", 7 მაისი, 1985 წ.